პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა
5 ივლისი
№ 156 (18098)
ფასი 2 კაპ.

ხვალ, 6 ივლისს, თბილისში მუშაობას იწყებს იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც სკკპ XXVI ყრილობის მასალების პროპაგანდისა და შესწავლის საკითხებს ეძღვნება.



რაც აღსრულდა, ერის და ქვეყნის სიმდიდრეა, იდეოლოგიის საღღეისო ორიენტირია

საბჭოთა საქართველოს ისტორიაში, ალბათ, იშვიათად ყოფილა ისეთი ნათელი, ეშშარიტად ამაღლებული და ბედნიერი დღეები, როგორიც ოთხმოცდაერთი წლის მაისში ვიხილეთ. საბჭოთა საქართველომ იზეიმა თავისი არსებობის, შუაკოვარი, შთაგონებული ბრძოლისა და შრომის სამოცი წლის თვე, ხოლო ისტორიას მისცა მკაფიო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მეცხრამეტე, შემოქმედმა, სტუმრთმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ხალხმა თავისი ეროვნული სახე და ენერგია, სითბო და დიდებულებოვნება, გულწრფელობა და სამოყვრობა გახსნილი გული სულ რაღაც ორიოდე დღის მანძილზე წარმოაჩინოს, ყველას უჩვენოს — ვინ არის, რას წარმოადგენს, საით მიემართება მისი მომავალი, როგორია მისი შვილების ბედი!

ეროვნული დღესასწაული ყველა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში, გულისხმობს ყოველივე იმ საუკეთესოს საკვანძო გამოცანას, რაც საუკუნეების მანძილზე თაობებს დაუროვნია.

ეროვნული დღესასწაული არა მარტო იმის ნათელი დემონსტრაციაა, თუ როგორ ცხოვრობს და რას აკეთებს ხალხი, არამედ იმისიც, თუ რას ფიქრობს იგი, როგორ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას გარემომცველი სამყაროსადმი, როგორ აღნიშნავს მისთვის ძვირფას დღეს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს დამსახურებული უფლება ჰქონდათ ალალად ეზეიმათ საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის სახელოვანი სამოცი წლის თავი, მათ ხომ ვადამდე, ღირსეულად და სახელოვნად განახორციელეს მეათე ხუთწლედის გეგმები და ახალი დავალებების მაღალ ღონეზე შესრულებისათვის მზადყოფნა უპატაკეს კომუნისტურ პარტიას და მთავრობას.

რესპუბლიკის სპარტი და სახურველმა სტუმარმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ასე შეაფასა საქართველოს მშრომელების ეს განწყობილება: „მშვენიერი დღესასწაული გაქვთ, და თქვენს იუბილეს ღირსეულად აღნიშნავთ. თქვენი საიუბილეო ზეიმიც, შეიძლება ითქვას, განმსჭვალულია ხალხთა მეგობრობის, კარგი შრომითი აღმავლობის სულისკვეთებით, ნაღვაწისათვის სიამაყით და სამერმისო გეგმებით“.

დღესასწაული საქართველოში იმის ნათელი დადასტურება იყო, თუ რამდენად ძლიერია ქვეყანა, როცა სუფევს ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო, როცა მასების შეგნება განსაზღვრავს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის მიმართულებას.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე აღინიშნა, ჩვენი ადამიანები დღესასწაულს მიუდგენენ, როგორც დიდ პოლიტიკურ სამუშაოს. ეს იყო ჭეშმარიტად ხალხთა ზეიმი, სადაც თითოეული მოქალაქე თავს ფლიდა როგორც მის ორგანიზატორად, ისე მონაწილედ, სადაც ყოველი მშრომელი განმსჭვალული იყო პასუხისმგებლობის გრძნობით და იმის ღრმა შეგნებით, რომ აკეთებს დიდ, სახარგებლო, სერიოზულ საქმეს.

უდავოა, საიუბილეო ზეიმის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი მთავარი პირობა და საფუძველი იყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ ბოლო წლებში გაწეული უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, მხნი დაუღალავი ბრძოლა და რუდუნება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დიდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის.

პარტიის პოლიტიკის სიბრძნე ის არის, რომ მოცემულ ეტაპზე სრულყოფილად განსაზღვრავს ტაქტიკურ ხაზს და იდეოლოგიური მუშაობის ზუსტ მიზანს. ასეთი ტაქტიკური ნაბიჯი იყო დიდი ნდობის გამოცხადება მშრომელთა ფართო მასებისადმი. აკი, ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმამ განაპირობა საიუბილეო ზეიმის სრულფასოვნად და მაღალ ღონეზე წარმართვაც!

ჩვენს იდეოლოგიურ საქმიანობაში არსებული ზოგიერთი ნაკლისა და ფორმალიზმის მიზეზი სწორედ ის არის, რომ ხშირად ანგარიშს არ ვუწევთ ადამიანთა გრძნობებსა და მოთხოვნილებებს. ხდება ხოლმე, პროპაგანდისტი მსმენელს არ ენდობა, ლექტორი — აუდიტორიას. ყოველდღიური ცხოვრება კი გვიკარნახებს — მივცეთ მათ საშუალება და სტიმული გამოავლინონ საკუთარი თავი და შესაძლებლობანი ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში, იმოქმედონ დამოუკიდებლად, თავიანთი მრწამსითა და შეხედულებებით.

საიუბილეო დღესასწაულმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა — სადაც საქმე ეხება მასების ენთუზიაზმს, შემოქმედებასა და გაკანონებას, იქ დირექტივები და განკარგულებები კი არ უნდა ფიგურირებდეს, არამედ ჭეშმარიტი ფანტაზია, ხალისი ნიჭი და შემოქმედებითი გაკვნება.

ახლა ძნელია იმის აღნუსხვა და ჩამოთვლა, რომელმა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა გამოიჩინეს ინიციატივა, გვიჩვენეს ამ დიდი ეროვნული და ინტერნაციონალური საქმისადმი თავდადებისა და ერთგულების მაგალითები, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მთლიანად საქართველო — ყოველი ოჯახი, ოჯახის თითოეული წევრი განმსჭვალული იყო დიდი მისწრაფებით — არ შეერცხვინათ რესპუბლიკის სახელი, ყველაფერი გაეკეთებინათ მისი დიდებისათვის, აი ეს გახდა სწორედ ზეიმის წარმატების საფუძველთა საფუძველი.

როცა მიზანი ნათელია, საქმის ორგანიზაცია და პასუხისმგებლობის გრძნობა ერთმანეთს ერწყმის. საიუბილეო ზეიმობის დროს შეძენილი ეს შესანიშნავი გამოცდილება უნდა განვაზოგადოთ და გადავიტანოთ საწარმოებში, შუთთა კოლექტივებში; პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა უპირველეს ამოცანად უნდა გაიხადონ, რომ ჩვენად და წესად იქცეს მაღალი დისციპლინიანობის შეხამება სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველყოფასთან. უნდა მივაღწიოთ. იმას, რომ თითოეული კოლექტივი მუშობდეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, ქვეყნისა და ხალხის წინაშე მოვალეობის შეგნებით. მასების შეგნების დონე პასუხისმგებლობის უმაღლეს რანგამდე უნდა ავიყვანოთ.

საიუბილეო ზეიმი აღინიშნა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტით. როგორც არაერთხელ თქმულა, ზეიმის ოთხი დღის მანძილზე მილიონიან თბილისში სულ სამი უმნიშვნელო სამართალდარღვევა აღირიცხა. ფართო მასების ლტოლვამ დღესასწაულის მაღალ დონეზე ჩატარებისადმი, დისციპლინიანობამ და ორგანიზებულობამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თავისი კეთილისმყოფელი გამოხატულება პოვა.

პარტიული ორგანიზაციების შემოქმედებითი ენერგია, ენთუზიაზმი და დამრაზმველი როლი თავს უნდა იჩენდეს არა ცალკეულ ღონისძიებათა ჩატარებისას, არა პერიოდულად, არამედ სისტემატურ საქმიანობაში, კომუნისტებთან თუ უპარტიო მშრომელებთან ყოველდღიურ დამოკიდებულებაში.

დღესასწაული საქართველოში იმის ნათელი ილუსტრაციაც იყო, თუ როგორი ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო სუფევს ჩვენთან, როგორ არიან ერთი აზრით, საქმით და მისწრაფებით შეფუღლებული საბჭოთა ხალხები, რესპუბლიკაში მცხოვრები სამოცდაათზე მეტი ეროვნების მშრომელები. ამიტომაც თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა: თქვენი დღესასწაული ყველა საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა კავშირის ხალხთა მთელი დიდი ოჯახის დღესასწაულია.

საიუბილეო ზეიმმა უხვი მასალა მოგვცა იმისათვის, რომ ფართო პროპაგანდა გავუწიოთ ჩვენს ქვეყანაში ეშშარიტად ხორცშესხმულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. საიუბილეო ხსდომისა თუ დელეგაციათა ცალკეული შეხვედრების მასალებში, სტუმრთა და მასპინძელთა გამოსვლებში ჩაქსოვილია დიდი სითბო და სიყვარული, რომლებიც განმსჭვალულია ინტერნაციონალური გრძნობით.

„როცა კარგი მეგობრის სახლში დიდი და ნათელი დღესასწაულია, იგი არ შეიძლება არ იყოს ჩვენი საერთო ზეიმი. სწორედ ამიტომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავი მთელ საბჭოთა მიწა-წყალზე აღინიშნება, როგორც დიდი და სასიხარულო მოვლენა, რომელიც ნამდვილად ახლობელია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის“ — თქვა თავის გამოსვლაში მ. ს. სოლომენცევმა.

„საბჭოთა საქართველოს აუვავება ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი სოციალისტური წყობილების ძირეულ უპირატესობებს, რადგან ეს არის მოქმედი ლენინური ეროვნული პოლიტიკა. ქართველი ხალხი დღევანდელი ბედნიერი დღისკენ ძნელი, ციცაბო, ეშშარიტად მთის ბილიკებით მიდიოდა“ — თქვა საზეიმო სხდომაზე ვ. ვ. შჩერბიცკიმ.

„აღფრთოვანებული ვართ და ვამაყობთ თქვენი ადამიანების გონებისა და მარჯვენის ნაყოფით, იმით, რომ წლითიწლამით სულ უფრო მშვენდება საბჭოთა საქართველო, ხასელის თქვამს ახალი კარგი საქმეებით, გაბედული წამოწყებებით, საგულისხმო მიღწევებით. თქვენი წარმატებები განასახიერებს სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უდავო უპირატესობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელ ენერგიას“ — განაცხადა ტ. ი. კისელიოვმა.

რესპუბლიკის მშრომელებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის ასეთი შეფასება მოზეიმე ხალხის წინაშე ვალის მოხდის თავგზნიანი ფესტი კი არ არის, არამედ იმ ტიტანური საქმიანობის, იმ შეუქცევადი პროცესების ობიექტური დანახვა, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს. თვით ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა მოგვცა ქართველი ხალხის ეროვნული ერიანობა, ჩვენი მკლავმოღლილი მშრომელების, კულტურისა და მეცნიერების დარგის მუშაკების, სპორტული მოღვაწეების საქმიანობის სწორი, პირუთვნელი შეფასება და ანალიზი. აი, ამას შეიძლება ეწოდოს ერისა და მთელი ხალხის სულიერ ცხოვრებაში ღრმად და საფუძვლიანად ჩახედვა!

საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური შეკავშირება, მათი მიზნების, მისწრაფებების, ინტერესთა ერთიანობა წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების მამოძრავებელ ძალას.

ალბათ, ამას გულისხმობდა დიდი ლენინი, როცა წერდა, რომ სოციალისტური ერები მიაღწევენ ბურჟუაზიის დროს არნახულ და ბურჟუაზიისათვის გაუგონარ მეგობრობასო.

ჩვენი ეროვნული სიამაყის გრძნობა ორგანულად უკავშირდება საბჭოთა მოქალაქეობის შეგნებას. ყველაფერი, რაც კეთდება დღეს ერისა და რესპუბლიკის სახელით, რასაც აღწევენ ჩვენი გამრჯე, მშრომელი ადამიანები — ეს არის საერთო წვლილი ქვეყნის მატერიალურ დოვლათში, საბჭოთა ხალხის სულიერ საგანძურში! ამიტომ ჩვენი დღევანდელი მიღწევებით გამოწვეული სიამაყე სამართლიანად გამომდინარეობს მთელი საბჭოეთის სიამაყის გრძნობიდან და დიალექტიკურ კავშირშია ერთმანეთთან. სწორედ ამაზე ლაპარაკობდნენ გატაცებით საიუბილეო საზეიმო სხდომაზე გამოსული ორატორები, ამიტომ ეამაყებოდათ მათ საბჭოთა საქართველოს წარმატებები და, კერძოდ, უკანასკნელ წლებში აქ მოპოვებული ესოდენ თვალსაჩინო გამარჯვებები.

ეს მნიშვნელოვანი მომენტი მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ჩვენი იდეოლოგიური დარგის მუშაკებს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს. ყოველნაირად უნდა ვცდილობდეთ განვუმარტოთ ფართო მასებს საიუბილეო დღეებში, საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული აზრების, თეორიული დებულებების, პოლიტიკური შეფასებების არსი და მნიშვნელობა.

ასევე დაუღალავი მუშაობა მართებთ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იდეოლოგიური დარგის წარმომადგენლებს. ყველა ის დებულება და დასკვნა, რომლებიც მოცემულია ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებში, სხვა ორატორთა გამოსვლებში და ეხება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სფეროს, უნდა შევუხამოთ აღნიშნული რეგიონების საქმიანობის თავისებურებებს.

ჩვენი დღესასწაულის პირდაპირი გაგრძელება იყო საქართველოს დღეები მოსკოვში. დედაქალაქის საზოგადოებრიობის მიერ რესპუბლიკის დელეგაციის ასეთმა ამაღელვებელმა და ძმურმა მიღებამ, გულითადმა შეხვედრებმა და მშობლიურმა სითბომ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი ჩვენი წინსვლისა და მუდმივი აღორძინების დაუშრეტელი, მარადიული წყაროა.

დიდი ზეიმის ექო და რეზონანსი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გაცდა. ეს კი დიდი ამოცანების წინაშე გვაყენებს — საჭიროა შევინარჩუნოთ მიღწეული, ავამაღლოთ ჩვენი პასუხისმგებლობა, მოვუაროთ სახელსა და ავტორიტეტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე ამის შესახებ ასე თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ:

„შესანიშნავად გვესმის, რომ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი დამოკიდებულია თვით საქართველოზე, — მის შრომაზე, იმ წვლილზე, რომელიც მან შეაქვს საერთო-საკავშირო, საყოველთაოსახალხო დოვლათში. ამიტომ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტს კვლავაც ავამაღლებთ იმით, რომ შევასრულებთ ლენინდ ილიას ძის სხვა რჩევა-დარიგებებსაც — ვიმუშაოთ კიდევ უფრო შეუპოვრად, ვიმოქმედოთ უფრო თამამად!“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ (თან ერთვის).

2. რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დამტკიცონ დებულება ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 27 ივლისის დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის ხმარების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1933 წ., № 21, მუხ. 270; 1936 წ., № 1, მუხ. 1).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 18 ივნისი.

დებულება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი არის საქართველოს სსრ სახელმწიფო სუვერენიტეტის, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ურღვევი კავშირის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა მეგობრობისა და ძმობის სიმბოლო.

2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი წარმოადგენს წრეს, რომლის ზედა ნაწილში გამოსახულია მნათი ხუთქიმიანი ვარსკვლავი გაშლილი სხივებით; ქვემოთ — დათოვლილი მთაგრეხილია შუაში აღმართული თოვლიანი მწვერვალით; წრის ქვედა ნაწილში გამოსახულია: მარჯვნივ — ვაზი ყურძნის მტევნით, მარცხნივ — სამი თავთავი, თავთავებისა და ვაზის ბოლოები გადახლართულია ერთმანეთში წრის ქვედა კიდესთან; შუაგულის დიდი ადგილი უჭირავს ნაგლისა და ეროს გამოსახულებას, რომელიც ებჯინება: ზემოთ — ვარსკვლავის გაშლილ სხივებს, ქვემოთ — მთაგრეხილის მწვერვალს, ხოლო გვერდებზე — თავთავებსა და ვაზს; ნაგლისა და ეროს ქვემოთ ირის წარწერა „საქ. სსრ“; წრეს გარს შემოვლებული აქვს ქართული ჩუქურთმებიანი არშია, რომლის შიდა რკალზე მოთავსებულია ორი მცირე ვარსკვლავით გამიჯნული წარწერა ქართულ და რუსულ ენებზე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის ფერად გამოსახულებაში ვარსკვლავი წითელია, სხივები — თეთრი, ვარსკვლავი და სხივები მოთავსებულია წითელ ფონზე; მთაგრეხილი ცისფერია, ვაზი, მტევანი, თავთავები, ნამგალი, ეროს და მცირე ვარსკვლავები — ოქროსფერი; არშია ოქროსფერია, გამოყენებულია აგრეთვე ყავისფერი, მუქი ყავისფერი და ცისფერი. არშიის შიდა რკალი თეთრია, ხოლო მასზე წარწერა — შავი: წარწერა: „საქ. სსრ“ — თეთრია.

3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულება თავსდება:

1) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და საქართველოს სსრ სხვა სასამართლოების, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სახალხო კონტროლის კომიტეტების, სახელმწიფო ნოტარიალური კანტორების, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბეჭდებსა და დოკუმენტების ბლანკებზე, რომელთაც ბეჭდებსა და დოკუმენტების ბლანკებზე გერბის გამოსახულების მოთავსების უფლება მინიჭებული აქვთ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით;

4) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ გამოცემებზე;

5) საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებზე.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულების სავალდებულო რეპროდუცირების სხვა შემთხვევებიც.

4. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულების რეპროდუცირება, მისი ზომებისა მიუხედავად, ყოველთვის ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ფერად ან შავ-თეთრ გამოსახულებას, რომელიც თან ერთვის ამ დებულებას.

5. ამ დებულების გამოყენების წესებს გამოსცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ“.

სკკპ XXVI ყრილობამ აღნიშნულია დადგენილებაში, განსაზღვრა, რომ სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა დაგეგმარება მისი გადაყვანა უპირატესად განვითარების ინტენსიურ გზაზე, რაციონალურად გამოვიყენოთ შექმნილი საწარმოო პოტენციალი, ყოველწლიურად დავზოგოთ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები. ჩვენი შემდგომი წინსვლა, ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული მოცული არსებული რესურსების— შრომის, ძირითადი ფონდების, სათბობისა და ნედლეულის, მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის გონივრულ და ეფექტიან გამოყენებაზე.

ამისათვის, რომ შესრულდეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფართო პროგრამა, რომელიც მეთერთმეტე ხუთწლედისა და ოთხმოცდაერთ წლებისათვის არის დასახული, საჭიროა წარმოებაში მოვიქციოთ უდიდესი ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსები. მაგრამ ნედლეულისა და სათბობის მოპოვება სულ უფრო ძვირი ჯდება, ხოლო წიაღისეულის მარაგი აუნაზღაურებელია. ასეთ პირობებში ყველა სახეობის მატერიალური რესურსების უაღრესად მომჭირნე და რაციონალურ გამოყენებას განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება.

კურსი, რომელიც პარტიამ შემუშავა ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ინტენსიფიკაციისათვის, მიზნად გვისახავს უზრუნველვყოთ, რომ წარმოების შედეგები უფრო სწრაფად იზრდებოდეს. ვიდრე მისი დანახარჯები, რომ ნაკლები რესურსებით მეტს მივაღწიოთ. საჭიროა კიდევ უფრო მტკიცედ და თანამიმდევრულად განვახორციელოთ სოციალისტური მეურნეობრიობის პრინციპები, შეგასრულოთ ლენინის დანაბარები— ზედმიწევნით კეთილსინდისიერად ვხარჯოთ ფული, მომჭირნედ გავუძღვეთ საქმეს, დავიცვათ უმკაცესი დისციპლინა შრომაში, აღარათიანად ვხარჯოთ ნედლეული და მასალა, შევამციროთ დანახარჯები, აღმოვფხვრათ დანაკარგები —მაშასადამე დავზოგოთ მილიონობით ადამიანის შრომა და კაპიტალური დაბანდება, გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, შევინარჩუნოთ გარემო ბუნება. ყოველივე ამაზე დიდად არის დამოკიდებული ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესაძლებლობათა გაფართოება.

მოწინავე კოლექტივებმა დადებითი გამოცდილება შეიძინეს —ისინი ზოგავენ ნედლეულს, მასალას, სათბობს, ენერგიასა და ამავე დროს აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. კარგი შედეგებია მიღწეული იქ, სადაც სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები ამ მუშაობას ეწევიან მიზანმიმართულად და ყოველდღიურად. მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფართო დანერგვის საფუძველზე, იქ, სადაც ამ მუშაობაში ყველა მშრომელია ჩაბმული.

ამასთანავე მატერიალური რესურსების გამოყენების გაუმჯობესების საქმეში საერთოდ ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია სათანადო გარდატეხისათვის. საუკეთესო მსოფლიო მაჩვენებლებთან შედარებით ჩვენში ეროვნული შემოსავლის ერთეულზე მეტი ნედლეული და ენერგია იხარჯება. ბევრი სახეობის მანქანა-მოწყობილობას აქვს მაღალი მასალატევადობა, დიდია ლითონის ხვედრითი ხარჯი მთელ რიგ ნაკეთობათა დამზადებისას. ჯერ კიდევ ყველგან როდი გამოიყენება რესურსდამზოგველი ტექნოლოგიური პროცესები. წაღისეულის მოპოვებისას მიწაში რჩება დიდძალი მადანი, ქვანახშირი, ნავთობი, სულტად მიმდინარეობს წარმოების ნარჩენებისა და მეორეული რესურსების უტილიზაცია. წარმოებისა და შენახვის პროცესში უშვებენ ლითონის, სათბობის, მერქნის, ცემენტის, მინერალური სასუქის, სოფლის მეურნეობისა და სხვა პროდუქციის მნიშვნელოვან დანაკარგებს. ნელა ლეგებულობს თვითღირებულება და სატრანსპორტო დანახარჯები. ყოველივე ეს მოწმობს, რომ სახალხო მეურნეობაში არსებული რესურსები ეკონომიისა და საბოლოო პროდუქციის გამოშვების გაზრდის დიდ რეზერვებს შეიცავს. ჩაეყენოთ რეზერვები საზოგადოების სამსახურში — ეს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა თანამედროვე ეტაპზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ ძირეულად გაიუმჯობესონ მთელი მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში ნედლეულის, მასალის, სათბობისა და ენერგიის დაზოგვისა და რაციონალური გამოყენებისათვის. ამის მისაღწევად უნდა წარვმართოთ მეცნიერულ-ტექნიკური და სტრუქტურული პოლიტიკა, კაპიტალურ დაბანდებათა პოლიტიკა, მართვის, დაგეგმვისა და ტიმულირების სისტემა, მშრომელი კოლექტივების ინიციატივა.

ეკონომიკა ეკონომიკური უნდა იყოს —სკკპ XXVI ყრილობის ამ მოთხოვნის ხორცშესხმა მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა.

საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ მშრომელთა მასობრივი მოძრაობა ყოველმხრივი ეკონომიისათვის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, არასაწარმოო სფეროსა და მმართველობაში. თითოეული საბჭოთა ადამიანი აქტიურად უნდა ჩაებას მომჭირნეობისა და აყაირათიანობისათვის ბრძოლაში ყველგან — წარმოებასა თუ ყოფა-ცხოვრებაში, შემატოს თავისი კონკრეტული წვლილი ამ საერთო-სახალხო საქმეს.

მიღებული დადგენილებით მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ ყველგან უზრუნველყონ მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის განხორციელება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, მეურნეობის ინტენსიური გაძღოლის მეთოდების ფართო დანერგვა. აამაღლონ იმ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ქმედითობა და შედეგიანობა, რომლის მიზანია მშრომელთა დარაზმვა რესურსების უფრო სრული და ეფექტიანი გამოყენებისათვის; მიანიჭონ მას მაქსიმალური კონკრეტულობა და გერგილიანობა, არ დაუშვან კამპანიური და შაბლონური მიდგომა.

გათვალისწინებულია მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და რესურსების რაციონალური გამოყენების ამოცანები განიხილონ პარტიულ ორგანიზაციებში და მშრომელთა საერთო კრებებზე. საწარმოებში და მშენებლობებზე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მეთერთმეტე ხუთწლედისათვის შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ნედლეულის, მასალის, სათბობისა და ენერგიის ხარჯვის მნიშვნელოვან შემცირებას, ნაკლები ნარჩენების დატოვებას, მეორეული რესურსების მაქსიმალურ უტილიზაციას, სხვადასხვა გვარი დანაკარგების ლიკვიდაციას. მოისმინონ კონკრეტულ შემსრულებელთა, სამსახურებისა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ანგარიშები მათი მიმდინარეობის შესრულების შესახებ. პარტიული ორგანიზაციები სისტემატურ კონტროლს დაუწესებენ შემუშავებულ ღონისძიებათა რეალიზაციას. გაფართოვდება იმ კომისიათა შექმნის პრაქტიკა, რომლებმაც კონტროლი უნდა გაუწიონ ადმინისტრაციის საქმიანობას მატერიალური რესურსების დაზოგვის დარგში, გააქტიურდება მათი მუშაობა, კომისიებს განამტკიცებენ ინიციატივიანი კომუნისტებით, რომლებმაც კარგად იციან საქმე.

(დასასრული მე-2 გვ-ზე)

საბჭოთა ლიტერატურის ახალი მიღწევებისაკენ

სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

საბჭოთა ლიტერატორების მონოლითური ერთიანობის, კომუნისტთა ლენინური პარტიისადმი მათი ერთგულების ნიშნით მიმდინარეობდა სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობის მუშაობა. მისი საბოლოო სხდომა გაიმართა 4 ივლისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში.

სხდომას დაესწრნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.

ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის ლიტერატურულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

აღფრთოვანებით მიიღეს სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობის წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გ. მ. მარკოვმა.

სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. (საკდესი).

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

4 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობაზე არჩეული სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი.

პლენუმმა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად აირჩია გ. მ. მარკოვი. გამგეობის სამდივნოში არჩეულია 59 კაცი.

ცენტრალური ხარვეზიზიო კომისიის პირველ სხდომაზე მის თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. პ. ტელეშოვი. (საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა განავითარონ და გააკრიტიკონ მშრომელთა ინიციატივა და მომჭირნეობის გზებისა და მეთოდების შემოქმედებითი ძიება, გამოუმუშაონ მშრომელებს მზრუნველი დამოკიდებულება სახალხო დოვლათისადმი, მომჭირნეობა მატერიალურ ღირებულებათა საყოფაცხოვრებო გამოყენებაში. გადაჭრით აღიკვეთონ არასაწარმოო ხარჯები, ყოველგვარი დანაკარგები და ზედმეტობა, შექმნან მფლანგველობის ყოველი ფაქტის შეუწყნარებლობის ვითარება.

აამაღლონ მომთხოვნელობა ხელმძღვანელების, ინჟინრების, კონსტრუქტორების, დამპროექტებლების, ტექნოლოგებისა და სხვა სპეციალისტების მიმართ ახალი ტექნიკის, ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიური პროცესებისა და სხვა ისეთი გადაწყვეტების შემუშავება-დანერგვისათვის, რომელებიც უზრუნველყოფს რესურსების რაციონალურ გამოყენებას და დაზოგვას, ამასთანავე — პროდუქციის მაღალ ხარისხს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმშენი, სსრ კავშირის სახმომარაგება, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან განახორციელონ მთელი საგეგმო და სამეურნეო საქმიანობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გადამწყვეტი შემობრუნება მატერიალური რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებისა და დაზოგვისაკენ.

გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციის დროს უზრუნველყონ, რომ:

გაძლიერდეს ეკონომიკური განვითარების ორიენტაცია მატერიალურ დანახარჯებთან შედარებით წარმოების შედეგების უპირატესი ზრდისათვის;

დაიხვეწოს სახალხო მეურნეობისა და მისი დარგების სტრუქტურა იმ მხრივ, რომ ყოველთაობად შემცირდეს წარმოების ენერგოტევადობა და მასალატევადობა, მაქსიმალურად იქნეს ამოღებული და ამოკრებილი წიაღისეული მიწიდან, კომპლექსურად, ღრმად გადამუშავდეს ნედლეული;

ფართოდ დაინერგოს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ კონსტრუქციული და სხვა მასალების, სათბობენერგეტიკული და ნედლეული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, საამისოდ საჭირო შრომის იარაღების, მანქანათა სისტემების, დიდად ეკონომიური მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების შექმნას;

მკვეთრად შემცირდეს ნედლეულისა და მასალათა ნარჩენები და დანაკარგები მათი დამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების ყველა სტადიაში, უფრო სრულად იქნეს გამოყენებული წარმოებაში მეორეული რესურსები და თანამდევი პროდუქტები;

უპირატესად გამოეყოთ კაპიტალური დაბანდებანი, მოწყობილობა და სიმძლავრენი სამშენებლო ორგანიზაციებს მატერიალური რესურსების დაზოგვის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

შესაბამის ორგანიზაციებს დაევალთ შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს მომჭირნეობის გაძლიერებას მრეწველობის სფეროებში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, მომსახურების სფეროში და საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს ტექნიკური საჭიროებებისათვის განკუთვნილი სასურსათო ნედლეულის ხარჯი, ამოღებულ იქნეს საწარმოო მოხმარებიდან ნატურალური ქსოვილები და შეიცვალოს ისინი სინთეზური და ხელოვნური ფართოლეულით, აგრეთვე რაციონალურად იქნეს გამოყენებული მერქანი, ცემენტი, მინა, საშენებლო კონსტრუქციები და სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა რესურსები.

გათვალისწინებულია ამაღლდეს მეცნიერების როლი ყველა სახეობის მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენების, რესურსდამზოგველი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა-დანერგვის, მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების გაფართოების ამოცანათა გადაწყვეტაში.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ გააქტიურონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აქტუალურ პრობლემათა ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა, რათა შემცირდეს წარმოების მასალატევადობა და ენერგოტევადობა, გაძლიერდეს მომჭირნეობის რეჟიმი და გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი. უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის პროგრამებით გათვალისწინებულია სპეციალური დავალებანი, რომ სამთობის, ენერგია, ნედლეული და მასალები რაციონალურად იქნეს გამოყენებული მათი კომპლექსური გადამუშავებისა და მეორეული რესურსების მაქსიმალური უტილიზაციის გათვალისწინებით; შეიტანონ ამ დავალებებში რესურსების დაზოგვისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების კონკრეტული მაჩვენებლები ხუთწლეულისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს

დაეკისრა ორგანიზაცია გაუწიოს დარგთაშორისი მნიშვნელობის მქონე ყველა სახეობის, განსაკუთრებით პროგრესული რესურსდამზოგველი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებას, ამასთან უზრუნველყოს საშუშაოთა შედეგების პრაქტიკული დანერგვა წარმოებაში.

საჭიროდ არის მიჩნეული სამრეწველო სამშენებლო და სატრანსპორტო სამინისტროებს, გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ხუთწლიან და წლიურ გეგმებში, 1983 წლიდან მოყოლებული, დაუმტკიცდეს პროდუქციის (სამუშაოების) თვითღირებულების დავალებანი, ხოლო ამ დავალებათა შემადგენლობაში —მატერიალური დანახარჯების ლიმიტი (ზღვრული დონე) მანეთის პროდუქციაზე (სამუშაოებზე) ფულადი გამოხატულებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ სანორმატივო მეურნეობა, ამაღლონ ნორმებისა და ნორმატივების მამობილებელი მნიშვნელობა, დროულად დაიზუტონ ნედლეულის, მასალის, სათბობენერგეტიკული რესურსების ხარჯვის მოქმედი ნორმები, დადგინონ ამ რესურსების ხარჯვის ახალი პროგრესული ნორმები საგეგმო დავალებათა საფუძველზე, ამასთან გაითვალისწინონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, აგრეთვე მოწინავე კოლექტივების გამოცდილების დანერგვა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაუწესოს ხუთწლიან და წლიურ გეგმებში სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესუბლიკებს უმნიშვნელოვანეს სახეობათა მასალის, სათბობისა და ენერგიის ხარჯვის ნორმატივები ერთეულ პროდუქციაზე ნატურალური გამოხატულებით, ხოლო სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს დაეკისროთ დაუგზავნონ შესაბამისი ნორმატივები გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ სანორმატივო მეურნეობა, ამაღლონ ნორმებისა და ნორმატივების მამობილებელი მნიშვნელობა, დროულად დაიზუტონ ნედლეულის, მასალის, სათბობენერგეტიკული რესურსების ხარჯვის მოქმედი ნორმები, დადგინონ ამ რესურსების ხარჯვის ახალი პროგრესული ნორმები საგეგმო დავალებათა საფუძველზე, ამასთან გაითვალისწინონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, აგრეთვე მოწინავე კოლექტივების გამოცდილების დანერგვა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაუწესოს ხუთწლიან და წლიურ გეგმებში სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესუბლიკებს უმნიშვნელოვანეს სახეობათა მასალის, სათბობისა და ენერგიის ხარჯვის ნორმატივები ერთეულ პროდუქციაზე ნატურალური გამოხატულებით, ხოლო სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს დაეკისროთ დაუგზავნონ შესაბამისი ნორმატივები გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმომარაგება, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების დაინტერესება მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენებით. ამასთან დაკავშირებით:

სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური სტიმულირების ფონდები დაუქვემდებარონ ერთ მანეთ პროდუქციაზე (სამუშაოზე) მატერიალური დანახარჯების დონეს. 1983 წლიდან აწარმოონ დადგენილ ლიმიტთან შედარებით მატერიალური დანახარჯების შემცირების გზით მიღებული დაზოგილი თანხიდან პირდაპირი ანარიცხები აღნიშნულ ფონდებში. ეკონომიკური წახალისების ფონდებში ანარიცხის ლიმიტის გადაჭარბებისას შევამციროთ, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა, მათი საგეგმო სიდიდე. ეკონომიკური სტიმულირების ფონდების გადიდების ან შემცირების აღნიშნული წესი გამოვიყენოთ ხუთწლიანი გეგმებისა (საკონტროლო ციფრებთან შედარებით) და წლიური გეგმების (შესაბამისი წლისათვის ხუთწლიანი გეგმის დავალებებთან შედარებით) მაჩვენებლების დამუშავების, აგრეთვე გეგმების შესრულების შეფასების დროს;

1982 წლიდან გააფართოონ მუშების, ოსტატების, ტექნოლოგების, კონსტრუქტორებისა და სხვა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პრემირება კონკრეტულ სახეობათა მატერიალური რესურსების დაზოგვისათვის ხარჯის დადგენილ ტექნიკურად დასაბუთებულ (საშუალო პროგრესული) ნორმებთან შედარებით. გაითვალისწინონ პრემიების გაცემა მატერიალური რესურსების დაზოგვის თანხის 75 პროცენტამდე ოდენობით, ამასთან გაითვალისწინონ მათი სახეობა, ღირებულება და დეფიციტურობა იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, პრემიებით დააჯილდონ პროგრესული, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების მიღწევისათვის. მატერიალური რესურსების დაზოგვისათვის მუშებს პრემიები მისცენ დარგების მიხედვით დადგენილი პრემიების ზღვრული ოდენობის ფარგლებში. შეინარჩუნონ ლითონის, სათბობის, ენერგიისა და სხვა რესურსების დაზოგვისათვის პრემიების მოქმედი წესი იმ შემთხვევებში, როცა დადგენილია წახალისების უფრო დიდი ოდენობა;

1983 წლიდან შემოიღონ საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკებისა და მოსამსახურეების პრემირება დადგენილ ლიმიტთან შედარებით ერთ მანეთ პროდუქციაზე (სამუშაოზე) მატერიალური დონის მიხედვით, ამასთან გაითვალისწინონ გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების მიერ პროდუქციის (სამუშაოს) თვითღირებულების დავალებათა შესრულება. საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა პრემირება განახორციელონ ავრეთვე მატერიალური დანახარჯების დაზოგვის მიხედვით, ამასთან გაითვალისწინონ შესაბამისი ქვეგანაყოფის მიერ თვითღირებულების საგეგმო დავალებათა შესრულება. ახალ სახეობათა მანქანების, მოწყობილობისა და მასალების სტანდარტები შეიმუშაონ და დაამტკიცონ ამ სახეობათა ტექნიკისა და მასალების ნიმუშების შექმნის შესაბამის კვლევითს და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებთან ერთად; სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში პროდუქციის ძირითად მახასიათებელთა რიცხვში შეიტანონ მისი მასალატევადობისა და ენერგოტევადობის მაჩვენებლები, რომლებიც შეესაბამება საბჭოური და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის საუკეთესო მიღწევებს; პროდუქციის ატესტაციის დროს ხარისხის უმაღლეს კატეგორიას მიაკუთვნონ იგი მხოლოდ აღნიშნული მოთხოვნების შესრულების პირობით; გადასინჯონ 1981-1982 წლებში კონსტრუირებისა და გაანგარიშების, მათ შორის დასაშვები დაბაბულობის ნორმები, სტანდარტები და წესები, მარაგის კოეფიციენტები, გამოცდის მეთოდები, უზრუნველყონ მათი ფართო დარგობრივი და დარგთაშორისი უნიფიკაცია.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ 1981-1982 წლებში შეიმუშაონ ტექნიკური პირობები, ამასთან უზრუნველყონ პროგრესული ნორმებისა და მოთხოვნების დაწესება, რომელთა მიზანია პროდუქციის ხარისხის ამაღლება, ნედლეულის მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვა და ეფექტიანი გამოყენება.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ღონისძიებებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ მოსახლეობაში იმ სამშენებლო მასალების რეალიზაცია, რომლებიც შეიქმნა მოსახლეობის კუთვნილი შენობებისა და ნაგებობების დაშლა-დანგრევის დროს, ამასთან მიღებული ამონაგები ჩაირიცხოს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალში შემოსულობათა დაგეგმილი თანხის გადაჭარბებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების ღონისძიებს დაევალათ მნიშვნელოვნად გაზარდონ იმ მუშაობის დონე, რომელსაც მოსახლეობაში ეწევიან სითბოს, ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის მომჭირნედ ხარჯვის უზრუნველსაყოფად. სათბობ-ენერგეტიკული და წყლის რესურსების გამოყენებისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის საჭიროა: გაფართოონ ელექტროენერგიის, გაზის, წყლისა და სითბოს ინდივიდუალური და კოლექტიური ხარჯვის გაზომვისა და რეგულირებისათვის გათვალისწინებული საშუალებებისა და ხელსაწყოების გამოყენება; თანდათან შემოიღონ აღნიშნული რესურსების, ხარჯვის ლიმიტები, აგრეთვე გააძლიერონ საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და კომბინატების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მათი უყაირათო გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის სახმომარაგება ვალდებულია უზრუნველყოს მაკარი სახელმწიფო კონტროლი სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების რაციონალური და ყაირათიანი ხარჯვისადმი, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და მოწყობილობის ხარჯვის პროგრესული ნორმების დანერგვისა და მათს შენახვასა და გამოყენებაში უყაირათობის თავიდან აცილების ღონისძიებების განხორციელებისადმი, აგრეთვე წარმოების მასალატევადობის შემცირების შინაგანი რეზერვების გამოვლენისადმი. სსრ კავშირის სახმომარაგებას ეძლევა უფლება სამინისტროებსა და უწყებებს დაუდგინონ მეორეული რესურსების შეგროვების, რეალიზაციისა და გადაშვებების (ან თვით სამინისტროში, უწყებაში გამოყენების) წესი და ნორმატივები, აგრეთვე გამოუყოს მათ ფონდები მეორეული ნედლეულის შეგროვება-გამოყენების დადგენილ დავალებათა გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახმომარაგებასა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალათ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ და 1981-1982 წლებში დანერგონ ყველა სახეობის მეორეული ნედლეულის შეგროვების, რეალიზაციის, გადამუშავებისა და გამოყენების ეფექტიანი სქემები.

სსრ კავშირის სახმომარაგებასა და ცენტროსოიუზს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებს აღმასკომებთან ერთად წინადადება მიეცათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მოსახლეობისაგან მეორეული ნედლეულისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მიღების ორგანიზაცია, ამასთან ფართოდ გამოიყენონ მოძრავი მიმღები პუნქტები.

სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაევალათ მოამზადონ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზეგეგმითი და ზედმეტი მარაგის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის, დაუდგენელი მოწყობილობის ზეგეგმითი ნაშთების შემცირებისა და საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების წინადადებანი.

იმ მუშაობის კოორდინაციის მიზნით, რომელსაც სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესუბლიკების მინისტრთა საბჭოები ეწევიან ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის გამოყენების გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ამ დარგში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებთან გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზაციისადმი ოპერატიული კონტროლის განხორციელების მიზნით საჭიროდ არის მიჩნეული შეიქმნას მატერიალური რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენების საუწყებათშორისო კომისია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარის მეთაურობით, იქმნება შესაბამისი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო საუწყებათშორისო კომისიები, ხოლო სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებში — დარგობრივი კომისიები.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს წინადადება მიეცა უფრო მკაცრი კონტროლი გაუწიოს ეკონომიიხა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის, ნედლეულისა და მასალების, საწვავის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მანქანების, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებათა და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. მტკიცედ იღვაწოს, რომ არამწარმოებლურ ხარჯებსა და დანაკარგებთან ბრძოლა სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების, ყოველი სახალხო კონტროლიორის ყოველდღიური საქმე იყოს. გადაჭრით აღკვეთოს უყაირათობისა და მფლანგველობის ყოველი გამოვლენება, მკაცრად მოსთხოვოს პასუხი თანამდებობის პირებს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო. ამასთან სრულად გამოიყენონ სახალხო კონტროლის ორგანოებისათვის საამისოდ მინიჭებული უფლებები.

სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახბანკსა და სსრ კავშირის მშენბანკს სსრ კავშირის სახმომარაგების მონაწილეობით დაევალათ გააუმჯობესონ აღრიცხვის, ანგარიშების, ეკონომიკური ანალიზისა და ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის სწორი და ეფექტიანი ხარჯისადმი კონტროლის სისტემა. უზრუნველყოს ყველა სახეობის ნარჩენებისა და დანაკარგების მკაცრი აღრიცხვა.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებული არიან მეთერთმეტე ხუთწლედში საბოლოოდ გადაიყვანონ საქვეუწყებო გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები პროგრესული ნორმებისა და ნორმატივების სისტემის საფუძველზე წარმოებისათვის გაწეული ხარჯების აღრიცხვისა და პროდუქციის თვითღირებულების კალკულირების ნორმატიულ მეთოდზე.

1981 წლიდან წესდება სახელმწიფო ანგარიშგება უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულისა და მასალების ხარჯის ნორმების საშუალო შემცირების დავალებათა შესრულების შესახებ, ხოლო 1982 წლიდან — დადგენილ ლიმიტებთან შედარებით მიღებული მატერიალური რესურსების დაზოგვის ოდენობა და კოლექტიური ხარჯვის გაზომვისა და რეგულირებისათვის გათვალისწინებული საშუალებებისა და ხელსაწყოების გამოყენება; თანდათან შემოიღონ აღნიშნული რესურსების, ხარჯვის ლიმიტები, აგრეთვე გააძლიერონ საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და კომბინატების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მათი უყაირათო გამოყენებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს რჩევა მიეცათ გააძლიერონ მუშაობა რესურსების ყაირათიანი და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისათვის, მიაღწიონ, რომ ყოველი მშრომელი აქტიურად მონაწილეობდეს ყოველნაირი მომჭირნეობისათვის ბრძოლაში. აამაღლონ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, ყოდევ უფრო მეტად წარმართონ შემხვედრი გეგმები და ვალდებულებები მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და არსებული რეზერვების მობილიზაციისათვის.

დადგინდა, რომ შემხვედრი გეგმების შემუშავებისა და შესრულების შეფასების და შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი უნდა იყოს მატერიალური ხარჯების შემცირებისა და სხვა რესურსების დაზოგვის ზდამაბასაიათებელი ან ბრუნვაში მოქცევის, აგრეთვე დაზოგვის გზით დამზადებული პროდუქციის დამატებითი წარმოების მოცულობა.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის მუშაობაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმისათვის მიზანშეწონილად არის მიჩნეული მეთერთმეტე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის დარგებში, გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოეწყოს ნედლეულის მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის საკითხებზე საკავშირო, საბჭოთა, ინჟინერ-ტექნიკური, მეცნიერული, ეკონომისტური, ბუღალტერული, ფინანსური, ბანკირული, ინჟინერ-ტექნიკური, ეკონომიკური, ბიბლიოთეკური, ტექნიკური, ფიზიკურ-ქიმიური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული, ეკონომიკური, ბიბლიოგრაფიული, ტექნიკური, ეკონომიკური, ინფორმაციული

...ცდით, გარდასაქმნელად!...

ასე უნდა ჩამოყალიბდეს ჰარმონიული პიროვნება

□ოთხი წიგნი თერჯოლელთა ფთაგონებით □ მათი სულიერი საზრდო □ „საპოვნელაზი“ ისვენებენ მოზარდნიც და უფროსებიც □ თეატრი ღია ციცის ქვეშ □ რესპუბლიკური კინოფესტივალის ფიურის თავმჯდომარეობს სანერგის მუშა □ თბილისის „დინამო“ ხვდება ადგილობრივ „ენერგეტიკოსს“.

„ჩვენ დიდი მატერიალური და სულიერი შესაძლებლობანი გვაქვს, რომ სულ უფრო მეტად განვავითაროთ პიროვნება, და ამ შესაძლებლობებს კვლავაც გავზრდით...“ ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები გვავალებს, რომ სულ უფრო სრულყოფილად დავაკმაყოფილოთ ადამიანთა გაზრდილი ინტელექტუალური მოთხოვნილებები.

აი ამისათვის იბრძვის პარტიის თერჯოლის რაიკომი.

ცნობილია, რომ ოთხი წიგნი დაწერეს თერჯოლელთა შრომითი წარმატების შთაგონებით ქართველმა მწერლებმა გ. აბაშიძემ, ჯ. ჩარკვიანმა, გ. ფანჯიკიძემ, ვ. ამირეჯიბმა, რ. ჯაფარიძემ, დ. კვიცარიძემ, ლ. სულაბერიძემ, გ. სანადირაძემ...

ერთ ხუთწლედში რაიონზე ოთხი წიგნი ეს შემთხვევითი არ არის. მაინც რა მოხდა თერჯოლაში?

გვესაუბრება პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბურჯანაძე:

— „ლიტერატურნოე ობოზრენიეს“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „ადამიანთა შეგხვებაში გარდატეხის მოხდენა რთული პროცესია. ამ საქმეში წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ კომპლექსური მუშაობის უნარი არ შეგწევს, თუ არ ძალგიძს საერთო მიზნისათვის გამოიყენო ერთი მხრივ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების, მეორე მხრივ კი ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის მოღვაწეთა შესაძლებლობანი, მათი შემოქმედება, მთელი ჩვენი სულიერი ძლიერება, რომელიც გარდაქმნის ადამიანთა სამყაროს“...

ასე უნდა ჩამოყალიბდეს ჰარმონიული პიროვნება. სხვაგვარად სოფელში, სამუშაოდ ბრძანებით ვერავის დატოვებ, მაგრამ ეს პროცესი, ეს პრობლემები ისევე ფაქიზია, როგორც თვით ადამიანის გრძნობა.

პარტიის რაიკომის ბიუროს აშფოთებდა და ახლაც არ ასვენებს სოფლის მცხოვრებთა მიგრაციის საკითხი. თერჯოლა ხომ სამრეწველო ქალაქების — ქუთაისისა და ზესტაფონს შუა მდებარეობს.

შვიდი წლის წინათ პირველად შევიმუშავეთ რაიონის სოციალური განვითარების მრავალფეროვანი პროგრამა.

პირველი ნაბიჯები გადავდგით კულტურულ-საგანმანათლებლო ბაზაში გარდატეხის მოხდენა რთული პროცესია. ამ საქმეში წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ კომპლექსური მუშაობის უნარი არ შეგწევს, თუ არ ძალგიძს საერთო მიზნისათვის გამოიყენო ერთი მხრივ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების, მეორე მხრივ კი ლიტერატურის, ხელოვნების, ...

სოფელში ბრძანებით ვერავის დატოვებ

ახალგაზრდულ კლუბში „ვაზის ყვავილობა“. არც ის იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ მარადმწვანე ხეივანში ჩაფლულმა პიონერთა ქალაქის „საპოვნელას“ მდიდრულმა კომპლექსმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. თერჯოლელ ბავშვებთან ერთად აქ ისვენებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მოსწავლეები. ამ მშვენიერ კომპლექსს შეორე დანიშნულებაც აქვს. მოსწავლეთა სწავლის პერიოდში იგი მშრომელთა დასასვენებელი სახლია.

...პიროვნების ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში იწყება. სწორედ ეს გაითვალისწინეს თერჯოლაში და სკოლებში, კულტურის სახლებში, სასოფლო კლუბებში შეიქმნა 12 მუსიკალური სტუდია, სადაც ზოგად მუსიკალურ განათლებას იღებს 300 მოსწავლე. რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან შეიქმნა პიონერული თეატრი და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მნათობი“. თერჯოლელ მოსწავლეებს დიდი საშეფო დახმარება გაუწია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, ქუთაისის ოპერის თეატრმა და „საპოვნელას“ საკონცერტო დარბაზში გაიმართა კომპოზიტორ შ. ჯოჯუას საბავშვო ოპერის „ცრუშბისას“ პრემიერა. ეს სპექტაკლი ქუთაისელმა მაყურებელმა მოიწონა, ხოლო მოსწავლეთა მხატვრული გაიმართა სოფლის თემაზე გადაღებული ფილმების რესპუბლიკური კინოფესტივალი, რომლის ჟიურის თავმჯდომარე იყო სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი დიდიმ მაკარიძე.

ერთხელ „ღია ცის ქვეშ“ თეატრის მოწყობის იდეაც დაებადა რაიონის ხელმძღვანელობას და სისრულეშიც მოიყვანა იგი. სანადაობით ადგილად შეირჩა სასიქადულო მწერლის დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი.

თეატრი „ღია ცის ქვეშ“ უკვე მოქმედებს. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა წარმოადგინა „სამანიშვილის დედინაცვალი“, აქვე დემონსტრირებული იყო ამავე ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ე. შენგელაიას, მიერ გადაღებული კინოფილმი. ქუთაისის თეატრმა უჩვენა სპექტაკლი „ქამუშაძის გაჭირვება“, აფხაზეთ ოპერა „დარისპანის გასაჭირი“ ქუთაისის საოპერო თეატრის შესრულებით.

ძმობისა და მეგობრობის დიდ ზეიმად იქცა თერჯოლაში მოწყობილი ქართველი, აფხაზი და ოსი ლიტერატორების შეხვედრა. დიდი ინტერესი გამოიწვია რ. ჯაფარიძის რომანის „მძიმე ჯვრის“ განხილვამ, რომელსაც ავტორი ესწრებოდა. სპორტის გულშემატკივრებს დღესაც ახსოვთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა სტუმრობა და ადგილობრივ „ენერგეტიკოსთან“ გამართული მათი ამხანაგური მატჩი.

ასეთია მოკლედ ის მუშაობა, რომელიც ბოლო ხანს პარტიის თერჯოლის რაიკომმა გასწია ქალაქისა და სოფლის ყოფის დაახლოებისათვის, ადამიანის სულიერი სამყაროს გამდიდრებისათვის, ინტელექტუალური დონის ამაღლებისათვის, ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ო. ნიჟარაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

...ბრ ...ბ ...ბ

● პარტიის რაიკომი იღვწის ოჯახის კოლიტიკური და მოკალაქეობრივი დანიშნულების გაძლიერებისათვის

● როგორ ახდენენ თერჯოლელები ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე კეთილისმყოფელ გავლენას.

● რას გვთავაზობს შემოქმედებითი ინტელიგენცია კოლიტიკური მრწამსის განსამტკიცებლად.

● საცხოვრებელ ადგილას იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანი გაშლა — ჩვენი უპირველესი საზრუნავი.

საცხოვრებელ ადგილას იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის

სადღესასწაულო თარიღი არ იყო, რკინიგზის სადგურის წინა მოედანი კი საზეიმოდ გამოიყურებოდა. სპეციალურად დამონტაჟებული რადიორეპორტიორიდან ისმოდა სიმღერები ლენინზე, პარტიაზე, სამშობლოზე...

მოსწავლეი ბარათის მიხედვით, ხალხი დღის ორ საათზე შეიკრება. არც ტრიბუნა იყო და არც პრეზიდიუმის შემადგენლობა აურჩევიათ. ეს იყო ლენინის ქუჩის მკვიდრთა შეხვედრა, გათვალისწინებული პარტიის ჰიათურის საქალაქო კომიტეტის კომპლექსურ ღონისძიებათა პროგრამით საცხოვრებელ ადგილას მოსახლეობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ასეთი ღონისძიების მოწყობის გამოცდილება არავის ჰქონდა და, ბუნებრივია, ღელავდა მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარე გ. წულუკიძე. ქუჩის მცხოვრებთა გარდა შეხვედრას ესწრებოდნენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციული ორგანოებისა და პრესის წარმომადგენლები.

ყველაფერი დიდებულად წარმართა. პირველად მიკროფონი დაეთმო ვეტერან კომკავშირელს და კომუნისტს გ. ბიწაძეს. იგი ლაპარაკობდა თავისუფლად, პარადოულობის გარეშე. ქუჩის მცხოვრებთ მოგონა ჰიათურის რევოლუციური წარსული, ის გამოჩენილი ადამიანები, რომლებმაც თავი დადეს დღევანდელი ბედნიერი ცხოვრებისათვის, და შეკრებილთ სთხოვა წუთიერი დუმილით პატივი ეცათ მათი ხსოვნისათვის. მისივე წინადადებით ტრადიციად შემოიღეს, რომ მომავლში ლენინის ქუჩის მცხოვრებთა შეხვედრები გაიმართოს ბელადის დაბადების თარიღის პატივსაცემად ყოველი წლის აპრილში.

შეხვედრის მონაწილეთა საერთო აღფრთოვანება გამოიწვია ქალაქის № 8 და № 9 საშუალო სკოლების მოსწავლეთა გამოსვლამ. პარტიის საქმისადმი მათი ერთგულების ფიცმა, წკრიალა ხმებით შესრულებულმა სიმღერებმა და ცეცხლოვანმა ცეკვებმა ელვარება და ხალისი შემატა ღონისძიების შინაარსს.

ყოველ ქუჩას და უბანს ჰყავს კერპებად აღიარებული საყვარელი ადამიანები, რომელთა მარად ჭაბუკური სახეები მუდამ იცოცხლებს მეზობლების, ახლობლების გულში. ლენინის ქუჩასაც ჰყავდა ასეთი ვაჟკაცები, ახლა მათი სადინს გადააჭარბა. ახლა უკვე თვით მცხოვრებლებმა წამოაყენეს თავიანთი მოსაზრებანი მომავალი ღონისძიების მოწყობის შესახებ. ასე გაიმართა მიკრორაიონის ტერიტორიაზე მდებარე № 2 და № 9 საშუალო სკოლების მოსწავლეთა შეხვედრა მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებთან, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ მეათე რესპუბლიკური ოლიმპიადის საბოლოო ტურში.

მიკრორაიონის საბჭოს საქმიანობის პირველი ნაბიჯები ერთობ სასიამოვნო და შთამბეჭდავია, მაგრამ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს მაინც ვერ მოიყვანს.

რითი სუნთქავთ მიკრორაიონში?

ხელები თავდადებულ პატრიოტთა სინონიმებად ქცეულა. დიახ, ამიტომ იყო, რომ ბევრის თვალზე ცრემლი აციმციმდა, როდესაც მეგობრები გაიხსენა დიდი სამამულო ომის ინვალიდმა, ვეტერანმა ჟურნალისტმა ა. ფირაძემ.

— ჩვენი ქუჩა დიდი ლენინის სახელს ატარებს. იგი ერთი-ერთი საუკეთესო, კეთილმოწყობილი უნდა იყოს მთელ ქალაქში, — ასე მიმართა მეზობლებს ო. ზაზაშვილმა და მოუწოდა შეხვედრის მონაწილეებს, რომ ყოველი თვის ბოლო შაბათს მასობრივად გამოვიდნენ მისი დასუფთავებაკეთილმოწყობისათვის, ეზოების, სახლების გალამაზებისათვის. ეს წამოწყება ახლა პრაქტიკულად ხორციელდება და იგი სამაგალითო უნდა გახდეს ყველა უბნისათვის, ქუჩისათვის.

ასე ჩაეყარა საძირკველი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უბნის მკვიდრთა ერთიან კოლექტივად, ოჯახად შეკავშირებას და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ახალ, ცხოველმყოფელ ფორმას.

შეხვედრის შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ასეთი შთაბეჭდილებებით რომ არ დავრჩენილიყავით, აზრის გამოთქმა ვთხოვეთ პარტიის ჰიათურის საქალაქო კომიტეტის აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილების გამგეს ჯ. ფხალაძეს.

— პარტიის საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიური სამსახური მრავალფეროვან და სასარგებლო მუშაობას ეწევა, — გვითხრა მან, — მაგრამ, როგორც შემოწმებამ ცხადყო, საცხოვრებელ ადგილას იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მხრივ ყველაფერი რიგზე როდი გვქონდა. ეს საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსჯელობის ასეთი შთაბეჭდილებებით რომ არ დავრჩენილიყავით, აზრის გამოთქმა ვთხოვეთ პარტიის ჰიათურის საქალაქო კომიტეტის აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილების გამგეს ჯ. ფხალაძეს.

— პარტიის საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიური სამსახური მრავალფეროვან და სასარგებლო მუშაობას ეწევა, — გვითხრა მან, — მაგრამ, როგორც შემოწმებამ ცხადყო, საცხოვრებელ ადგილას იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მხრივ ყველაფერი რიგზე როდი გვქონდა. ეს საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდა და კონკრეტული სამოქმედო პროგრამა დაგვისახა.

მის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, გაკეთებით კი ბევრი რამ გაკეთდა: პარტიის საქალაქო კომიტეტის სპეციალურ პლენუმზე შემუშავებულ იქნა ხუთწლიანი კომპლექსური გეგმა-ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს მასობრივ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ხასიათის მრავალფეროვანი საქმიანობის მიზანშეწონილად წარმართვას.

შემუშავდა საცხოვრებელ ადგილას მოსახლეობასთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს დებულება. განისაზღვრა ამ საბჭოს მუშაობის შინაარსი და ძირითადი მიმართულებანი. საბჭო არჩეულ იქნა 15 კაცის შემადგენლობით და ყოველ მათგანს მიეცა დავალება.

საკოორდინაციო საბჭოსთან შეიქმნა ხუთი სექცია და მოსახლეობასთან პოლიტიკური მუშაობის კონკრეტულობისათვის ქალაქი და მისი ზონის სოფლები დაიყო 21 მიკრორაიონად. ერთ-ერთი მიკრორაიონის პრაქტიკულ საქმიანობას თქვენ უკვე გაეცანით. ვფიქრობთ, რომ ორანაკლები გამოცდილება შეიძინეს სხვა საბჭოებმაც. შეგვიძლია სტალინის ქუჩის, ნაგუთის დასახლების, სოფელ ნიგოზეთის და სხვათა მაგალითები ავიღოთ. პირდაპირ გეტყვით, რომ ხალხმა იწამა აღმზრდელობითი მუშაობის ახალი ფორმების ეფექტიანობა, რომელიც ყოვლისმომცველია თავისი შინაარსით.

ო. არაგული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მასპინძლობას ქრ დაგივიწყებთ, მოსკოველებო!

ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის ეფექტიანობა, იდეოლოგიური მუშაობის წარმატება გაიზრდება, თუ მთელი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ინტეგრირებული იქნება ყველა სახელმწიფო ორგანოს, აღმზრდელობითს ფუნქციებთან, სოციალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მთელი ზედნაშენის აღმზრდელობით ფუნქციებთან.

ე. ა. შევარდნაძე.
მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე.

ლაქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს დღეები მოსკოვში საიუბილეო ზეიმის ერთგვარი გვირგვინი იყო. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს მოსკოვმა გულთბილად უმასპინძლა. მე მქონდა პატივი და ბედნიერება ვყოფილიყავი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში.

ეშმაკრიტად, მეგობრობისა და ძმობის დემონსტრაციად იქცა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გამართული საზეიმო სხდომა და კონცერტიც. ყველაფერმა, რაც აქ ხდებოდა — ორატორების ღრმაშინაარსიანმა გამოსვლებმა, უშუალობამ და გულწრფელობამ, მხურვალე ოვაციებმა მე ძალზე ამაღელვა. ამით ერთხელ კიდევ გამოიხატა პატივისცემა ჩვენი რესპუბლიკისა და მისი ხელოვნების მიმართ და იმ ხელოვანთა მიმართაც, რომლებიც დიდ მისიას ასრულებენ — სხვათა გულამდე მიაქვთ საქართველოს მშვენიერება, სიმდიდრე და სითბო.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე დარბაზობამ მოსკოვის საქალაქო კომიტეტში. საქართველოს დელეგაციის წევრები მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გრიშინმა. მან გვიამბო, თუ როგორ ცხოვრობს და შრომობს დედაქალაქი, როგორია მისი პერსპექტივა და ილაპარაკა იმ წვლილზე, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს შეაქვთ დედაქალაქის მშენებლობაში. აღინიშნა მოსკოვისა და თბილისის ცხოვრებაში ყველაფერი ურთიერთობა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დარგში, ითქვა ისიც, რომ საქართველოს ახალგაზრდა სპეციალისტები წარმატებით შრომობენ მოსკოვის სამეცნიერო დაწესებულებებში და საწარმოებში.

ასევე საინტერესო იყო დარბაზობა ძერჟინსკის რაიონში. აქ კონკრეტული მაგალითებით თვალსაჩინოდ წარმოჩნდა ჩვენი თანამშრომლობა. ვისაუბრეთ აგრეთვე იმ პერსპექტივებზე, რომლებიც ხელოვნების ამა თუ იმ დარგის განვითარებისათვის ისახება. ვინაიდან მოსკოვის სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა, ვფიქრობ, აქ მიღებული გამოცდილება და დახელოვნება ფრიად სასარგებლოა რესპუბლიკის წინსვლისათვის.

ყველგან, შეხვედრებსა და დარბაზობებზე იგრძნობოდა მოსკოველთა სიყვარული და პატივისცემა იმ ქართველ შემოქმედთა მიმართ, რომელთა ხელოვნებაც მოსკოველთა სულიერი ცხოვრების ნაწილად ქცეულა. იგრძნობოდა აგრეთვე დაინტერესება რესპუბლიკაში მიმხდარი ცვლილებებით, იმ ცხოველმყოფელი გარდაქმნებით, რომლებიც ხდება, მკვიდრდება ჩვენში.

ერთი სიტყვით, ეს იყო დაუვიწყარი დღეები, რომელმაც კიდევ ერთხელ ნათელყო ერთიან, ძმურ ოჯახში ინტერნაციონალური მეგობრობის ძლიერება.

მოსკოვში ყოფნისას ხელოვნების სფეროში დაისახა სამამულო ურთიერთობის უახლოესი პროგრამა. სასიხარულოა, რომ საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალს, რომელიც ოქტომბერში საქართველოში გაიმართება. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი კოლექტივები, რომლებიც შეასრულებენ როგორც ჩვენი კომპოზიტორების ახალ ნაწარმოებებს, ისე საბჭოთა მუსიკის კლასიკურ ქმნილებებს.

გადაწყდა მოეწყოს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები მოსკოვში. ეს იქნება თეატრის პირველი პასუხსაგები გასვლა რესპუბლიკის გარეთ. ქუთათურებს დაეთმობა მცირე თეატრის სცენა. მოსკოველმა თეატრალებმა, რომლებიც იცნობენ ქუთაისელთა რეპერტუარს, წარმატება უწინასწარმეტყველეს გასტროლებს. ვფიქრობ, ამ გასტროლებით გამოჩნდება, რომ თეატრალური ცხოვრება მოღონიერებულია არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც და ეს ერთგვარი სტიმული იქნება სხვა თეატრებისთვისაც. თავის მხრივ სექტემბერში მოსკოვის მცირე აკადემიური თეატრი ეწვევა თბილისს.

სულ მალე რეჟისორი რ. სტურუა მონაწილეობას მიიღებს ინგლისში გამართული სამპოზიუმის მუშაობაში. იგი ეძღვნება შექსპირის პიესებზე გადაღებულ კინოფილმებს. ამ სიმპოზიუმზე ქართული შექსპირიანა წარმოდგენილი იქნება „რიჩარდ მესამით“.

ვენაში ოქტომბერში გაეცნობიან საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კოლექციის გამოფენას, რომელიც გაიხსნება ბიზანტიოლოგთა სიმპოზიუმთან დაკავშირებით, ვენაში ჩასული ქართველი ხელოვნებათმცოდნეები წაიკითხავენ ლექციებს ქართულ ოპერაზე.

ასე რომ, მოსკოვში ჩვენი რესპუბლიკის დღეები ყოველმხრივ საინტერესო და ღირსსახსოვარი იყო, ძნელია მათგან მიღებულ შთაბეჭდილებათა დავიწყება.

ოთარ თაქთაქიშვილი,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

სურათზე: თბილისის აბრეშუმის გაერთიანების იდეოლოგიური სექტორის ხელმძღვანელი, პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ნ. მაღრაძე ესაუბრება პარტიული განათლების სისტემის პროპაგანდისტებს.

ს. კილაძის ფოტო.

...ბ...ბ...ბ...

ნოდარ მამისაშვილი,

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი:

— **უთუოდ,** არც ერთი მუსიკალური ჟანრი არ ეხმიანება ჩვენს სინამდვილეს ისე უშუალოდ, არ მიჰყვება ჩვენს ცხოვრებას ისე კვალდაკვალ, როგორც სიმღერა. ამიტომაც არის, რომ სიმღერა და მისი ავტორები ასე უყვართ უფართოეს მასებს.

საკმარისია გავიხსენოთ რ. ლაღიძის „გვეძახის ჩვენი პარტია“, ვ. აზარაშვილის „კომუნისტები“, „ოდა ლენინს“, „დიდება კომკავშირს,“ შ. მილორავის „გამარჯვების მაისი“, „ლენინური კომკავშირი“, „თბილისის მშენებლებს“, გ. ცაბაძის „კომუნისტები“, „ბალადა ჯარისკაცის დედაზე“, ი. კეკელიძის „ოდა კომკავშირს“, ო. თევდორაძის „ობელისკი“, „ცოცხლებო, იმღერეთ ჩვენზე“ და სხვა მრავალი სიმღერა, რომელიც ჩვენი დღევანდელობის გამომძახილია, გამსჭვალულია იმ მისწრაფებებით, სულისკვეთებითა და შემართებით, რომელსაც შთაგვაგონებს ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები, ფართო ფრონტით მიმდინარე მძლავრი აღმშენებლობა.

ქართველი კომპოზიტორების მზარდი ინტერესი პოლიტიკური მოქალაქეობრივი თემატიკის სიმღერებისადმი არა მხოლოდ ჩვენი მრწამსის მკაფიო გამოვლინებაა, არამედ ჩვენს სინამდვილესთან დაახლოების უტყუარი გზაც არის.

ალექსანდრე ზალუტაშვილი,

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრალური განყოფილების უფროსი:

— **პირველად** წელს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში გასტროლებს მართავს ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი. გასტროლები გაიხსნება პოლიტიკურად მძაფრი, რევოლუციური მოძრაობის ეტაფეტაზე დაწერილი ნაწარმოებით ნ. ოსტროვსკის „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“ („როგორ იწრთობოდა ფოლადი“).

ჩვენი საუბარი ასე იმიტომ დაიწყე, რომ ქართული თეატრისათვის ყოველთვის მახლობელი იყო რევოლუციური სულის, პოლიტიკური პიესების სცენაზე გადატანა.

იგივე ქუთაისის თეატრმა ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა პირველმა განახორციელა მ. შატროვის „30 აგვისტო“ („ბოლშევიკები“) და მისივე „ექვსი ივლისი“.

რესპუბლიკის მრავალ თეატრს დღესდღეობით რეპერტუარში აქვს მძაფრი პოლიტიკური მოვლენებით აღსავსე ნაწარმოებები. მაგალითად მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ახლახან იყო „ჰაკი ამბას“ პრემიერა. უფრო ადრე რუსთაველის სახელმწიფო თეატრში კი დაიდგა „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“. თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრი წარმატებით უჩვენებს ბ. ლავრენიევის „ორმოცდამეერთეს“, ს. შაუმიანის სახელობის სომხური თეატრი კი — ბარსეღიანის „ყამოს“. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ სახის სპექტაკლები რესპუბლიკის თითქმის ყველა თეატრშია დ, რაც მთავარია, ეს სპექტაკლები მოსწონთ, რადგან ისინი პოლიტიკურ სიფხიზლესა და გამჭრიახობას მატებენ მაყურებლებს.

დიმიტრი თაუაიშვილი,

საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი:

— **მშრომელთა** იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის ყოველთვის წინა ხაზზე იდგნენ პოლიტიკური პლაკატის ქართველი ოსტატები. ახლა ძნელია ჩამოთვლა ყველა იმ პრემიისა თუ დიპლომისა, რომლებიც ჩვენს მხატვრებს მიუღიათ სხვადასხვა სახის გამოფენებსა და კონკურსებზე.

აღსანიშნავია თუნდაც ის ფაქტი, რომ ამას წინათ მოსკოვში გახსნილ VI საკავშირო პლაკატის გამოფენაზე, რომელიც სკკპ XXVI ყრილობას მიეძღვნა, ქართველ პლაკატისტთა მთელი არმია იყო წარმოდგენილი. დამთვალიერებლებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს ს. აჯიაშვილის, თ. ამბროლაძის, თ. ვარვარიძის, ც. გაჩეჩილაძის, თ. გელაშვილის, ი. გორდელაძის, ზ. ხარაბაძის, თ. ქართველიშვილის, ჯ. ლოლუას, ნ. მალაზონიას და სხვათა ნამუშევრებმა.

მრავალფეროვანი იყო ეს ნამუშევრები. ისინი თვალსაჩინოდ ასახავდნენ ჩვენი პარტიის მოწინავე როლს, მშვიდობის დაცვის, ბუნების ქომაგობა თემებს. დიდი ადგილი ეთმობოდა ჩილეს თემას.

მკითხველებისათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ პლაკატს ფართო მასებისათვის. პლაკატი ნერგავს მეტ სიფხიზლეს დღევანდელი მღელვარე ცხოვრების ყველა სფეროში, იგი მოწოდებულია ეკეთესი მერმისისათვის. ამ მიმართებით კი ჩვენი პლაკატის ოსტატების წვლილი მართლაც რომ დიდია.

ბიძინა ლუტიძე,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგე, პროფესორი:

ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი არსებითი ნიშანდობლივი თვისებურება ის არის, რომ სუბიექტური ფაქტორები, მათ შორის მშრომელთა უფართოესი მასების პოლიტიკური შეგნება და იდეურობა, სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი პროგრესის ჭეშმარიტად დიდმასშტაბური ამოცანების დაყენებასა და გადაჭრაში. ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე გვაგრძნობინებს იმ კანონზომიერების მოქმედების ძალას, რომ რაც უფრო მაღალია ხალხის — ისტორიის ნამდვილი შემოქმედის პოლიტიკური შეგნების დონე, მით უფრო დიდია მისი შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის გაქანება, მით უფრო ყოველმხრივად და მძლავრად ვლინდება მისი უშრეტი ენერგია, ენთუზიაზმი და შესაძლებლობანი.

და სწორედ ამ ფონზე განსაკუთრებულად გამოიკვეთება პოლიტიკური წიგნის მნიშვნელობა და რეზონანსი.

ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა პოლიტიკური წიგნის საზოგადოებრივი როლის გაძლიერების ობიექტური მოთხოვნების სარეალიზაციოდ. მკითხველებმა მიიღეს მრავალი საყურადღებო ნაშრომი მარქსისტულ-ლენინური თეორიის ფუნდამენტურ და გამოყენებით პრობლემებზე. გამოიცა საინტერესო მონოგრაფიები და კოლექტიური ნაშრომები, რომლებშიც ასახულია რესპუბლიკის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების მიმდინარე პროცესები, გაკრიტიკებულია ანტიკომუნისტური იდეოლოგია და ა. შ. მაგრამ ისევე როგორც ყოველ დარგში, აქაც მოპოვებულ წარმატებებს არ შეიძლება დავჯერდეთ.

სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დიდი მუშაობა მოგვიწევს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაზე მასების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩვენი რესპუბლიკის მიმართ, სადაც მნიშვნელოვნად არის დაჩქარებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპები, რაც თავის მხრივ, განუყოფელია ხალხის იდეურ-პოლიტიკური შეგნებისა და ორგანიზებულობის ამაღლების ამოცანებისაგან.

კიდევ უფრო მეტად უნდა გავუმჯობესოთ პოლიტიკური წიგნის პროპაგანდა, ავამაღლოთ მისი რეცენზირებისა და შეფასების დონე.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ პოლიტიკურმა წიგნმა საპატიო ადგილი დაიკავოს ჩვენი ხალხის აღმშენებლობითი ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის საქმეში.

5 ივლისი საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღეა

საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღე მეზღვაურების, ნავსადგურებისა და გემთშემკეთებელი ქარხნების მუშაკთა დღესასწაულია, ადამიანებისა, რომლებიც დიდ ამოცანებს წყვეტენ ტვირთის გადაზიდვის, მგზავრთა გადაყვანის და ქვეყნის საგარეოსავაჭრო ურთიერთობის დარგში. ნავიგაციის პერიოდში ზღვებითა და მდინარეებით ათასობით გემს უწყვეტ ნაკადად გადაადგილებენ მილიონობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

ბათუმის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი ნავსადგური რესპუბლიკის მთავარი საზღვაო ჭიშკარია. დღითა და ღამით არ წყდება ცხოვრება მის ნავსაყუდელში. აქ შემოდიან ჩვენი ქვეყნის ხომალდები და მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს ალმიანი გემები. სწრაფად, ორგანიზებულად ამუშავებენ ტანკერებსა და მადანმზიდებს ბათუმელი დოკერები. მარტო ივნისში მათ 400 საათი დგომის დრო დაზოგეს.

სურათებზე: **სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი, ნავსადგურის მეჭანიზატორი დოკერები, კომკავშირელი ლევან გობოზოვი, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, კომუნისტი იური ხებისკვერაძე და კომკავშირელი ლევან მეშარიშვილი; არც ერთი წუთით არ წყდება ცხოვრება ბათუმის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი საზღვაო ნავსადგურის აკვატორიაში.**

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წიგნის პროპაგანდა დიდი პოლიტიკაა!

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ბეჭდვითი სიტყვის სულ უფრო მზარდი როლი, მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება ახალ ამოცანებს უსახავს წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას. მარტო საქალაქო ორგანიზაცია აერთიანებს 845 პირველადი ორგანიზაციის 119 ათასამდე წევრს. საწარმოებში, სკოლებში გახსნილია სახალხო წიგნის მაღაზიები, წიგნის მოყვარულთა კლუბები. ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს დიდ ინტერესს წიგნისადმი. ყველაფერი კეთდება თუ არა იმისათვის, რომ საჭირო გამოცემები დროულად მიიღოს მასობრივმა მკითხველმა, საკმაოდ კარგად ვეწევით თუ არა ბეჭდვითი პროდუქციის პროპაგანდას, როგორ ვაწვდით ფართო მასებს პარტიის შთამაგონებელ სიტყვებს? ყველა ეს საკითხი იდგა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თბილისის საქალა

ᲔᲜᲕᲔᲠ ᲜᲘᲭᲐᲠᲐᲫᲔ

ვით შენს ღირსებას ეკადრება

ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲛᲐ

ოცდასამ მაისს,
იმ ნანატრი
მზიანი დილით,
კონსტიტუციის
მოედანზე
გამართულ ზეიმს
მე ვესწრებოდი,
გაზაფხული
ათოვდა თბილისს,
ქარი არხევდა
დროშების ტყეს
აღმართულს ზევით.
ვხვდებოდით სტუმრებს,
ჩამოსულებს
კეთილი ზრახვით,
ლაპარაკობდა
გული გულთან
და სისხლი სისხლთან,
და ხელგაშლილი
ზეიმობდა
მშობელი ხალხი
განახლებული
საქართველოს
სამოცი წლის თავს.
მოაბიჯებდნენ
კოლონები
ქუჩაში დიდხანს,
სიმღერის ჰანგებს
ხმას აძლევდა
გალობა მერცხლის,
და მე ვხედავდი
ზღვა სახეებს
ნაცნობს და ძვირფასს,
გაცისკროვნებულს
სიხარულის
გულწრფელი ცეცხლით.
ვიცი, მრავალი
მოგონება
თანდათან კარგავს,
პირველად ყოფილ
ელვარებას
და ხალას ფერებს,
მაგრამ მე მჯერა
იმ მღელვარე
დღეების ამბავს,
ლეგენდასავით
მოყვებიან
დიდი ხნის მერეც.

● ●

ჩვენ არ ჩავაქრობთ
წინაპართა
დანთებულ კოცონს,
მის ნარსულს, აწმყოს
და მომავალს
ვუდგავართ მცველად.
დიახ, ახალი
საქართველო
იბრძვის და ცოცხლობს,
აშენებს,
ხატავს,
აჩუქურთმებს,
ფიქრობს
და ღელავს!
მადლობა ყველას,
ვისაც რწმენის
ნათელი ადგას,
დღისით და ღამით
ვისაც გული
ქვეყნისთვის უცემს,
ჩვენ პასუხს ვაგებთ
ყველაფერზე,
დღეს ჩვენ ვწერთ რადგან
უბრწყინვალესი
ისტორიის
უახლეს ფურცლებს.
ჩვენ უმაღლეს მთებს
ბევრჯერ ფეხი
დავადგით ზურგზე,
დრო სწრაფვას ჩვენსას
ვერ დაუსვამს
ვერასდროს წერტილს,
რადგან ყოველდღე
უკედავებას
თვალებში ვუმზერთ
სვეტიცხოველით,
ალავერდით,
თბილისით,
მცხეთით.
ჩვენ რუსთაველი
რა ხანია
ვიწამეთ ღმერთად,
პოემა მისი,
საგზალივით
გზებზე თან მიგვაქვს,
და სამუდამოდ
ვეზიარეთ
რუსთველთან ერთად
რევოლუციურ
პოეზიის
უმძაფრეს გრიგალს.
სამშობლოს ძვირფასს
აფეთქებულს
მილიონ ფერად,
უფრო და უფრო
გავაბრწყინებთ
ახალ მშვენებით,
არა, ალბათ ჩვენს
ისტორიას
არ ახსოვს ჯერაც
ამი ასეთი
აღმაფრენის,
წვის და შემების.
ვერვინ დააცხრობს
სიჭაბუკის
ვულკანურ ლავას,
თუმც სიმართლის გზა
არის ძნელი
და დამქანცველი,
კაცობრიობის
ავანგარდში
მიდიან კვლავაც
კომუნისტური
წელთაღრიცხვის
ჯარისკაცები.
ეს შენ გეკუთვნის
ჩვენი სისხლის
ყოველი გრამი,
გაშალე მხრები,
ნუ გექნება
ნურაფრის შიში,
რადგან ბევრია,
შენზე ფიქრში
ვინც წვება ღამით
და ყოველ დილით
თვალებს ახელს
ვინც შენზე ფიქრში.

● ●

მე ვეკითხები
საკუთარ თავს:
რა ხარ და ვინ ხარ,
რა მიზანი გაქვს,
ან შენი გზა
საითკენ მიდის,
იქნება ყალბი
სათნოების
ატარებ ნიღაბს,
განზე დგახარ და
გირჩევნია
ცხოვრება მშვიდი.
კი, ლაპარაკი,
ღმერთმა მოგცეს,
სჩვევია ყველას,
თუმც ყოველ სიტყვას
ერთნაირი
როდი აქვს ფასი,
მართლა შეგტკივა
ქვეყანაზე
გული და ღელავ,
თუ დარახრახებ
ცარიელი,
ვითარცა კასრი?
არა და არა!
მეც ულელი
მიხედნინ კისერს,
ჩემამდე მკვიდრად
რომ დაჰქონდათ
ალბათ ათასებს,
და მიჰქრის ყამი
უსასრულო,
მაგრამ მე ისევ
ვდგავარ სიცოცხლის
აუღელებელ
ბარიკადაზე.
მე ჭეშმარიტი
სიხარულით
მევსება მკერდი,
როს ყოველი დღე
ფანტასტიურ
გმირობებს ბადებს
და თუ მომიხმობს
საქართველო,
მზად ვარ ვით გლეხი
სასხლავით ხელში
გვალვადაკრულ
ვენახში დავდგე.
მერე რა, თუ კი
ზოგჯერ რამე
გვაკლია მართლაც,
გულს არ გავიტეხ,
არ შემიპყრობს
ეჭვის მანია,
ისტორიაში
ხმელთა
და ზღვათა
მზე — დღის ნათელი
ერთ დღეს არვის
მოუყვანია.
ის წვეთწვეთობით
ივსებოდა,
ტყვია დახლილი
მილიონობით
ჩერდებოდნენ
ცხელი გულები,
მარადისობის
ზღვას შეერთვის,
მისთვის დაღვრილი
სისხლის და ოფლის
მოწანწკარე
ნაკადულები.
და მინდა რახან
სიყვარულის
ჩამთვალეს ღირსად,
სანამდე ლექსი
ურუანტელად
ძარღვებს ედება,
მუხლჩაუხრელად
ვემსახურო
სამშობლოს წინსვლას —
უფრო მაღალი
არ არსებობს
შემოქმედება.

● ●

მადლობელი ვარ,
მადლობელი
სულით და ხორცით
რომ უნეტარეს
შენს წიაღში
ბედმა დამბადა,
აქ ყველა გოჯი
მიწისა და
ყოველი ბორცვი
უძვირფასესი
სამარხია
მამა-პაპათა.
გაიღლის ხანი
და წარსული
მირიად წელთა
მდუმარებიდან
გამოარღვევს
კვლავ ბევრჯერ
ქვესკნელს,
და ერის ნიჭის
ბრწყინვალება
ჩაუმქრალ ფერთა
შარავანდედად
დაადგება
გარეჯის ფრესკებს.
ვერა, ვერ ჩაკლეს
ჩვენში ახლის
შენების ეშხი,
სამშობლოს დროშა
ჩაუბღუჯავთ
ლეკვებს მგლებისას
და აღორძინდა
დღეს სიცოცხლე
უდაბნოს მზეში,
როგორც სიმბოლო
საქართველოს
უკვდავებისა.
სალამი იმედს
ხვალისას და
აღდგენილ რწმენას,
აშრიალებას
კორომების
მუხის და კაკლის,
სადაც საამოდ
ეფერება
თვალსა და სმენას
„იავნანა“ და
მადლიანი
ჭრიალი აკვნის.
ო, ასე ჩემო
რესპუბლიკავ,
ამაყი მკერდით
გასჭერ ყამთასვლის
ოკეანე,
მოუსვი ხოფებს
და გიგანტური
ენგურის გვერდით
ახალი სუნთქვა
დაუბერუნე
ცეცხლჩამქრალ
სოფლებს.
ხომ ღამაზია
საუკუნო
სიჩუმის მერე
როდესაც ბალღის
საამური
ყღურტული ისმის,
დღეს მკვდრეთით აღმდგარ
უდაბნოს და
აღდგენილ ჭერემს
აღვიქვამთ როგორც
განახლებას
ქართული სისხლის.
ნუმც დამენახოს
არწივების
ჩამქრალი მზერა,
ნასახლარებზე
გადავლილი
სურო, ხვიარა,
რადგან ყოველი
სამუდამოდ
დაცლილი კერა
მოურჩენელი
ჩვენს სხეულზე
არის იარა.
დიდება ყველას,
ვინაც გაჩხრეკს
მინავლულ ნაცარს,
ვინც ჩვენს სამშობლოს
ულამაზეს
შვილებს უმრავლებს,
მაშ, ვუერთგულოთ
საქართველოს,
რადგან ჩვენს ნაცვლად
იარებს ჩვენსას
სხვა არავინ
არ უმკურნალებს.

● ●

ჩვენ მუდამ გვქონდა
დღევანდლობის
ძალუმი განცდა,
ოცნებით,
ფიქრით,
სიყვარულით,
ცრემლით,
ზვაობით,
როგორც პოეტმა,
მოქალაქემ
და როგორც კაცმა,
მეც ყველა გზები
გავიარე
ჩემი თაობის.
გადავაბიჯე
სიჭაბუკის
ზღვარსა და ასაკს,
სიმღერის გარდა
სხვა სიმდიდრის
არ ვარ მფლობელი,
და ყველაფრისთვის
მაზიარე
ამ ქვეყნად რასაც,
სიცოცხლევ ჩემო,
კიდევ ერთხელ
ვარ მადლობელი.
ასე იღვწოდნენ
დღეცისმარე
ფიქრით, ოცნებით,
უყვარდათ ქართლის
ყოველი ხე,
ყველა ნანგრევი,
სამშობლო იყო
უკვდავება
მარად მგოსნების
და მის გრიგალებს
უგალობდნენ
მყღერი ჩანგებით.
ო, როგორ მინდა
ვითვლებოდე
მეც იმათ შორის,
ვინც ქმნიდა ახალს
და ებრძოდა
მუდამ ტრაფარეტს,
მათ ეს ქვეყანა,
მოწეული
ბრძოლით და შრომით,
ვით უწმინდესი
სალოცავი
გადმოგვაბარეს.
დიახ, ძნელია
ვარსკვლავების
ხელით მიწვდომა,
მაგრამ სულს მაინც
აღმაფრენის
ჟინი ედება,
ვდგავარ ახალი
საქართველოს
სადაც იწრთობა,
უფრო მაღალი
არ არსებობს
შემოქმედება!

● ●

რახან დავიდგი
შენი ტვირთი
მხრებზე და თვალი
ვუსწორე ცაზე
მოკაშკაშე
ცეცხლოვან მნათობს,
შენ არ იფიქრო,
რომ ქარქაშში
ჩავაგო ხმალი,
ან ეს მთები და
ეს მინდვრები
ოდესმე დავთმო.
რახან მასწავლე
მტერთა ძლევაც
და ჭირთა თმენაც
და ფრთაგაშლილი
დამაყენე
ცხოვრების კართან,
სულში ერთხელვე
კოცონივით
ანთებულ რწმენას
გავუფრთხილდები,
ვით სინათლეს
საკუთარ თვალთა.
მე გამარჯვების
სადღეგრძელოს
ბოლომდე შევსვამ,
არ მოვარიდებ
მკერდს მოვარდნილ
ქარებთან შეხლას,
და სუნთქვას,
სინდისს,
იმედს,
ნიჭს და
კაცობას ჩემსას,
მხოლოდ სიკეთეს
და სიყვარულს
მივუტან მსხვერპლად.
ყველა თავისას
ანთებს შენთვის
პატარა სანთელს,
რომ სულ ყვავოდეს
ქვეყანაზე
სიკეთის ფესვი,
მეც ვზივარ
საწერ მაგიდასთან
და ღამეს ვათევ,
იქნებ რამეში
გამოგადგეს
ეს ჩემი ლექსიც.
მეც მენატრება
შენთვის ბრძოლა,
მეც გული მიცემს.
და ვფიცავ დროშებს,
მშობლიური
ქარი რომ არხევს,
ვიცოცხლებ შენთვის,
თუ დაგჭირდა,
მოვკვდები ისე,
ვით ეკადრება
შენს ღირსებას,
შენს წმინდა სახელს.

1981 წ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲣᲓᲐᲑᲜᲝ — ᲭᲔᲠᲛᲘ.

სრულქმნილება და სინატიფე

ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲘᲒᲘ სულ ოთხი წლისაა... ჩამოყალიბებისათვის, დასის შემოქმედებითი სახის გამოკვეთისათვის ეს ძალზე ცოტაა, მით უფრო, რომ თავისი არსით ამ სინთეზური თეატრალური კოლექტივის შექმნა, დასის სამხატვრო ხელმძღვანელის იური შერლინგის ნოვატორული ძიებათა განსხეულება (მოქმედების მრავალ პლანში წარმართვა, მუსიკის, სიტყვისა და ქორეოგრაფიული საწყისის ერთობის იდეა), მრავალი რთული პრობლემის გადაწყვეტასთან იყო დაკავშირებული.

როგორც ებრაული კამერული მუსიკალური თეატრის სპექტაკლებმა გვიჩვენეს, ი. შერლინგს და მის თანამდგომთ წარმატებით დაუძლევიათ დასმული პრობლემათაგან თითქმის ყოველი. ისინი მაღალ პროფესიულ ოსტატობასთან ერთად ჭეშმარიტად ამაღლებულის სფეროშიც ლაღად შეჭრილან. ხელწერის სრულქმნილება და სინატიფე, აზრის სიღრმე და მუსიკალურ-დრამატურგიული კონცეფციის გახსნის თანამიმდევრულობა, — აი თვისებანი, რომლებიც ესოდენ თვალში საცემია შერლინგი — რეჟისორის, შერლინგი — ქორეოგრაფისა თუ შემსრულებლის მიერ მოწოდებულ კონცეფციებში.

სამი სპექტაკლით: „მოდით, ყველამ ერთად“, „შავი აღვირი თეთრონისათვის“ და „უკანასკნელი როლი“, წარსდგა ბირობჯანიდან ჩამოსული შემოქმედებითი კოლექტივი თბილისელი მაყურებლის წინაშე. სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული და მაინც შემოქმედის ერთიანი ხელწერით აღბეჭდილი, უთუოდ ძალზე ყურადსაღები „მუსიკალურ-ქორეოგრაფიული“ ქმედებით, მოქმედების ამ ორი სიბრტყის ორგანული ერთიანობით მიიქცია მან ჩვენი ყურადღება. შერლინგ-ქორეოგრაფის ხელწერა უთუოდ მრავალსმქმელია, მით უმეტეს, რომ მისი ქორეოგრაფიული ლექსიკა ეროვნულ-ხალხური ძირიდან მოდის და ებრაული ხალხური ცეკვის ისეთ არქაულ ფენებს ეყრდნობა, რომელთა „ხანდაზმულობაც“ ათასწლეულებით განიზომება.

ი. შერლინგი, უდავოდ, დიდად ნიჭიერი, ამასთან საოცრად მრავალმხრივი ხელოვანია (რეჟისორი, ბალეტმაისტერი, კომპოზიტორი, სინთეზური აქტიორი) რომელიც ქვეშეცნეულად გრძნობს და წარმოაჩენს ამ პირველქმნილ ფენას, ხელოვნების ადრინდელი სინკრეტიზმის კვალი ესოდენ ცხადად რომ შემოუნახავს... აქედან მოდის მოდიფიცირების ის მაღალი ხელოვნება, რომელსაც მასთან ხალხურ-სასიმღერო თუ ქორეოგრაფიული პირველსაწყისები განიცდიან (იგულისხმება არქაული რიჩიტატიული მელოდიკა და გაცილებით გვიანდელი პეროიოდისათვის დამახასიათებელი საკუთრივ სასიმღერო ელემენტიც, აგრეთვე ქორეოგრაფიული ილეთები, რომელიც დაფუძნებულია ტერფზე ცეკვის ტექნიკაზე).

ყოველივე აქ თქმული, უწინარეს ყოვლისა, ეხება სპექტაკლს „მოდით, ყველამ ერთად“, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე სრულქმნილია თეატრის მიერ წარმოდგენილი რეპერტუარიდან, ვინაიდან მთელი სისრულით სწორედ აქ ჩანს ი. შერლინგის მიერ ებრაული ხალხური შემოქმედების ტრადიციების ღრმა წვდომა.

ყოფითი ელემენტის განზოგადების ასეთ სიღრმეს და მასშტაბებს თავისი კვალი დაუჩნევია სპექტაკლის ბრწყინვალე სცენოგრაფიასა და კოსტიუმების ხელოვნებაზე (მხატვარი — გ. კოლმანოვი), რომელიც ყურადღებას იქცევს ფერთა ჰარმონიის საოცარი გრძნობით (პალიტრა აქაც „პოლიფონიურია“) და ქორეოგრაფიული ნახატისადმი (პლასტიკური ფორმებისადმი) კოსტიუმის ფორმის მისადაგების არანაკლებ საოცარი აღღოთი. ვიტყვით კომპოზიტორ მ. გლუზის მუსიკალურ-დრამატურგიულ ოსტატობაზეც, ვინაიდან მისი მუსიკალური პარტიტურის ერიტმულსა და სახეობრივ წყობაზე ბევრად გახლავთ დამოკიდებული დრამატული კონტრასტის ხერხით დრამატურგიული მთელის კონსტრუირების ის დინამიკური შენერა, რომელიც ესოდენ გამოარჩევს შერლინგ-ქორეოგრაფსა და დამდგმელ რეჟისორს.

თავის არსით „მოდით, ყველამ ერთად“ გამკვეთი განვითარების პრინციპზე აგებული მთელია, რომელშიც „თანაფიქრიდან გამომდინარე (ხალხური სცენები, ებრაული ხალხური ყოფის სურათები), ცხადია, ეანერული ელემენტის ხვედრითი წილი საკმაოდ იქნებოდა და არის კიდეც ხაზგასმული. აქ, აშკარად ჩანს დასის კონსულტანტის დ. შჩედროვიცკის ნაყოფიერი, ფოლკლორული მუშაობა.

ერთი სიტყვით, ძალა შერლინგ ხელოვანისა ხალხურ ტრადიციებთან სისხლხორცეულ კავშირისა და დროის ფაქტორის ზეგავლენა გრძნობაშია, მისი ზემოქმედება საკუთარი შემოქმედებითი ნებისყოფის განუხრელად გატარებაში, შემოქმედებითი კოლექტივის ყოველი წევრის დიდი შინაგანი დისციპლინის, პროფესიული დისციპლინისადმი დამორჩილების ხელოვნებაშიც.

„ყველამ ერთად“! — ეს გზა თეატრის გზაა და, ალბათ, ამ გზაზე მას კიდევ მრავალი წარმატება ელნება. მით უფრო, რომ, როგორც თეატრის კიდევ ერთმა ნაშუშევარმა — „უკანასკნელმა როლმა“ (კომპოზიტორები—ი. შერლინგი და მ. გუზი) გვიჩვენა, ი. შერლინგი აქტიურად ეძიებს მას ოპერა-ბალეტის ჟანრშიც.

ამ დადგმამ ყურადღება მიიპყრო უზადო აქტიორული შესრულებით (რსფსრ სახალხო არტისტი, ბ. პავლოვას სახელობის პრემიის ლურეატი ე. ვლასოვა და მთელი დასი) და სცენოგრაფიული ხელოვნებისა (რ. გიბავიჩუსი) თუ კოსტუმების ფერწერულობით (გ. კოლმანოვი).

ვუსურვოთ ამ მშვენიერ თეატრალურ დასს მარადიული ყვავილობა.

ᲛᲖᲘᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
მუსიკათმცოდნე.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სცენა მ. გლუზის მუსიკალური სპექტაკლიდან „მოდით, ყველამ ერთად“.

Ვ. ᲒᲔᲜᲖᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲘᲠᲐᲝᲡ ᲡᲐᲥᲘᲠᲐᲝᲡ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ სახე იყო — ლამაზი, ახალგაზრდა. ხან პირმცინარი და ხანაც სევდიანი. ოცი წლის ჭაბუკი აღტაცებით ვაკვირდებოდი მათ. კიევის კინემატოგრაფის მუდმივ სტუმარს ერთი პრემიერაც არ გამომოტოვებია. ეს იყო სახეები რუსი, უკრაინელი, უფრო ზზრად კი ამერიკელი, გერმანელი და ფრანგი კინომსახიობებისა, არა მარტო ლამაზი, არამედ ნიჭიერი ქალებისა, თავიანი ხელოვნებით რომ გვხიბლავდნენ და გვატყვევებდნენ. მაგრამ ახლა, თითქმის სამოცი წლის შემდეგ მიჭირს გავიხსენო მათი სახის ნაკვთები, თამაში, მათი მოძრაობის რიტმი...

ერთი მშვენიერი სახე კი სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. რომანტიკულ ქართულ კინომოთხრობაში არსენა ყაჩაღზე თვალს ვერ ვაშორებდი საქართველოს წარმტაცი ბუნების ფონზე აღბეჭდილ სახეს, პირველად რომ აკიაფდა ეკრანზე მილიონობით მაყურებლის თვალწინ. შეუღარებელი სილამაზის სახე, გრძელი წამწამებით დაჩრდილული თვალები, ბაგეთა ნაზი მონახაზი, როგორც ფიქრიანი ქართული სიმღერა, მოძრაობა, გრაციოზული მკლავების თავშეკავებული ეფექტები, არა, შეუძლებელია მათი დავიწყება — ნატო ვაჩნაძის მიერ განსახიერებული ნანთონი დაწყებული მის უკანასკნელ როლებამდე, რომლებიც მსახიობმა იმ საავიაციო კატასტროფაში უეცარი, ტრაგიკული და ელვასავით განმგმირავი დაღუპვის წინა დღით შექმნა. მე შემძრა ნატოს სიკვდილის ამ თავზარდამცემმა ამბავმა, და მაინც იყო ამ სიკვდილში რაღაც მშვენიერიცა და საშინელიც, ისევე როგორც ტრაგიკულ ბალადაში უჩვეულო არსებაზე, მთის ფრინველივით რომ დაიღუპა. ნატო უჩვეულო იყო არა მარტო თავისი სილამაზით, არამედ თელი თავისი შემოქმედებითი არსით, წვდომისა და გადმოცემის იშვიათი უნარით. იგი განსახიერება იყო იმ მარტივი და რთული ჰარმონიისა, სამყაროს მომათვინიერებელი იმ ადამიანური მოვლენისა, რომელსაც დიდმა გოეთემ მარადიული ქალურობა უწოდა. ამაშია ნატო ვაჩნაძის ხელოვნების უკვდავების საიდუმლო.

ნახეთ დღეს ფილმები ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით. დაფიქრდით, რა მწირი გამოსახველობითი საშუალებები ჰქონდა ხელთ მაშინ „დიად მუნჯს“, რომელსაც ნატომ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი მიუძღვნა. მაგრამ რამდენად რთული და სრულყოფილი გახდა კინომსახიობის ხელოვნება ხმოვანი კინოს პერიოდში. რეჟისორთა და მსახიობთა მთელი პლეადა უარყოფდა კინოს ამ ახალი მონაპოვრის მხატვრულ ღირებულებას, შემდეგ კი ახალ ტალღაზე გადაეწყო ან სულაც ჩამოშორდა „დიადი ხმოვანის“ სმსახურს. ნატოსათვის უცხო იყო ეს კრიზისი.

მას შემდეგ, რაც პირველად ვიხილე ნატო 1924 თუ 25 წელს, არ ვაკლდებოდი არც ერთ ფილმს მისი მონაწილეობით. მალე თავადაც დავიწყე კინოში მუშაობა და 1930 წელს დავწერე სცენარი, რომელშიც მოვუთხრობდი ჩემი სიყრმის დროინდელ ერთ-ერთ მივარდნილ ქალაქზე, მის უკრაინულ-ებრაულ უბანზე, სადაც ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ ძველი, დრომოჭმული ტრადიციები, სადაც ხალხი ჯერ კიდევ ეროვნული შუოლისა და ცრურწმენის მარწუხში იყო მოქცეული. სცენარის სიუჟეტი დღეს მე არათუ შაბლონურად, გმოგონილადაც კი მეჩვენება. თუმცა 30-იანი წლებისათვის ეს ასე არ იყო. სცენარში ყღერდა იმ დროსათვის ჯერ კიდევ აქტიურული მოტივები.

ებრაელ ქალიშვილს დორას ახალგაზრდა უკრაინელი მუშა შეუყვარდა. მათ ვერც ისტორიის დრომოჭმული გადმონაშთები დააშორებს და ვერც სარწმუნოებრივი ტრადიციები. ვინ ითამაშებს ამ ქალიშვილს, რომელიც სიყვარულისა და სასოწარკვეთილების ორ ცეცხლს შორის არის მოქცეული. ამ კითხვაზე რეჟისორ გ. გრიჩერს, რომელმაც ხელი მოჰკიდა ჩემი სცენარის გადაღებას, უმალ ვუპასუხე: „ნატო ვაჩნაძეს უნდა ვთხოვოთ“. არც ისე იოლი იყო ნატოს დათანხმება. შემოქმედების გარდა მას საოჯახო საქმეც უამრავი ჰქონდა და უპირველეს ყოვლისა ახალშობილი პირმშოს—თენგიზის გაზრდა. არც ისე იოლი იყო მისგან თანხმობის მიღება ხანგრძლივი დროით შორეულ უმანში ჩამოსვლაზე. ახალი როლის ძიებით ვერა და ვერ ავხსნით მის თანხმობას. ვფიქრობთ, ნატო უფრო ღრმა და სერიოზულ ადამიანი იყო, ვიდრე ეკრანზე ასახული. ეს ალბათ ეტაპი იყო ნატოს ცხოვრებაში, ეტაპი, რომელიც ბევრ ფიქრს, ეჭვებსა და ეჭვიანობას ბადებს. ეს ალბათ ეტაპი იყო, ოჯახურ ბედნიერებასა და ოჯახურ ტრაგედიას შორის, ეტაპი